ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №15/12

„15“ „დეკემბერი“ 2016 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის, ავთანდილ იმედაძის სახით, და მეორე მხრივ, შპს „ულტრა“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1“) ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა (CPV კოდი: 31200000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 275(ორას სამოცდათხუთმეტი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის კოდი
1	HDMI კაბელი 20მ	ცალი	2	110	220	31224400
2	HDMI კაბელი 15მ	ცალი	1	55	55	31224400
	ჯამი				275	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის 23 დეკემბრამდე;

4.2. ადგილი:

4.2.1. შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის საფუძველზე;

5.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამეურნეო სამსახურის უფროსი, ზურაბ ამაშუკელი;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 23 იანვრამდე;

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი ქართუ“
ბ/კ №CRTUGE22
ა/ა №GE87CR0000000000023402

დირექტორი
ავთანდილ იმედაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ულტრა“

თბილისი, ღვინის აღ. №23
ს/კ №206258182
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ბ/კ №220101757
ა/ა №GE56BR0000003608083870

დირექტორი
ირაკლი კარბელაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „15“ „დეკემბერი“ 2016წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა" სამეურნეო სამსახურის უფროსის, ზურაბ ამაშუკელის შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ შპს „ულტრა" დირექტორის ირაკლი კარბელაშვილის სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მოწოდებულია საქონელი 2016 წლის 15 დეკემბრის №15/12 ხელშეკრულების მიხედვით.

სახელშეკრულებო თანხა 275(ორას სამოცდათხუთმეტი) ლარს.
სასაქონლის ზედნადებით #ულ-0278867818 მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 275(ორას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

„შემსყიდველი“

შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი ქართუ“
ბ/კ №CRTUGE22
ა/ა №GE87CR00000000000023402

სამეურნეო სამსახურის უფროსი
ზურაბ ამაშუკელი

„მიმწოდებელი“

შპს „ულტრა“

თბილისი, ღვინის აღ. №23
ს/კ №206258182
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ბ/კ №220101757
ა/ა №GE56BR0000003608083870

დირექტორი
ირაკლი კარბელაშვილი

GEORGIA. "ULTRA" LTD * 206258182 * შპს "ულტრა"
ULTRA Smart Solution